ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს 21.01.2014 სხდომის

ოქმი №1

სხდომას ესწრებოდა: საბჭოს 35 წევრიდან - 25

დღის წესრიგი:

1. აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების კრიტერიუმების შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ
   მომხს: ნ. მაჭარაშვილი, ფაკულტეტის დეკანის მ. შ.
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის მოსაპოვებლად სტივენ ჯონსის წარდგენის შესახებ
   მომხს: ნ. მაჭარაშვილი, ფაკულტეტის დეკანის მ. შ.
3. სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილების შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი
4. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმის შესახებ
   მომხს: ნ. მაჭარაშვილი, დეკანის მ. შ.
5. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა

მოისმინეს: 1. აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების კრიტერიუმების შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის აუცილებლობის შესახებ ისაუბრა დეკანის მ. შ. ნანა მაჭარაშვილმა

აზრი გამოთქვეს: ლ. სურმანიძემ, ს. სალუქვაძემ, თ. გაგოშიძემ, ნ. დურგლიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: შეიქმნას აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების კრიტერიუმების შემმუშავებელი ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნ. დურგლიშვილი – სოციოლოგიისა და სოც. მუშაობის მიმართულება
2. ი. კაჭკაჭიშვილი - სოციოლოგიისა და სოც. მუშაობის მიმართულება
3. გ. გოგსაძე – საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება
4. თ. გაგოშიძე - ფსიქოლოგიის მიმართულება
5. ლ. არუთინოვი - ფსიქოლოგიის მიმართულება
6. ლ. სურმანიძე - სოციოლოგიისა და სოც. მუშაობის მიმართულება
7. დ. ოსეფაშვილი – ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულება
8. ფ. ასანიშვილი – საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება
9. მ. მაცაბერიძე – პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება
10. ნ. მაჭარაშვილი - პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მოისმინეს: 2. დეკანის მ. შ. ნანა მაჭარაშვილმა დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის პროფესორთა ნაწილის განცხადება (ოქმს თან ერთვის) ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის მოსაპოვებლად სტივენ ჯონსის, აშშ მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯის პროფესორის, წარდგენის თხოვნის შესახებ

აზრი გამოთქვეს: მ. მაცაბერიძემ, ა. კუხიანიძემ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის მოსაპოვებლად წარადგინოს პროფესორ სტივენ ჯონსის კანდიდატურა.

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის საბჭოს სამდივნოში სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ნ. პავლიაშვილის გამოგზავნილი ამონაწერი სადისერტაციო საბჭოს სხდომის 2013 წლის 4 დეკემბრის № 38 ოქმიდან დებულებაში ცვლილების თსუ-ის წესდების თანახმად ფაკულტეტის საბჭოზე დასამტკიცებლად, სხდომის წევრებს გააცნო ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა თ. დოლბაიამ. №38 ოქმით დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებული დოქტორანტის სასწავლო კომპონენტის პუნქტის "სხვა აქტივობა" (5-15 კრედიტი) განმარტება გულისხმობს:

1. რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია – 10 კრედიტი
2. ადგილობრივ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია –v კრედიტი
3. საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება და გამოქვეყნებული აბსტრაქტი – 5 კრედიტი; სტატიის საკონფერენციო მასალებში გამოქვეყნება – 10 კრედიტი
4. ადგილობრივ კონფერენციაზე გამოსვლა, აბსტრაქტი – 2-3 კრედიტი; სტატიის საკონფერენციო მასალებში გამოქვეყნება – 5 კრედიტი
5. სალექციო კურსისთვის მასალების მოძიება, თარგმანი, რედაქტირება - 1 გვერდზე დახარჯული 2 საათის გათვლით – შესაბამისი კრედიტი

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, ნ. მაჭარაშვილმა, ლ. სურმანიძემ, რ. გაჩეჩილაძემ და სხვ.

დაადგინეს: თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, სადისერტაციო საბჭოს დებულების მოცემული ცვლილები დასამტკიცებლად გადაეგზავნოს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს.

მოისმინეს: 4. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმის ჩატარების შესახებ საბჭოს წევრებს ინფორმაცია მიაწოდა დეკანის მ. შ. ნანა მაჭარაშვილმა. მან წარმოადგინა თსუ-ის რექტორის 2013 წლის 25 ნოემბრის №151/01-01 ბრძანება, რომელშიც გაწერილია ჩასატარებელი კონკურსის პროცედურები

აზრი გამოთქვეს: ი. სალუქვაძემ, ზ. დავითაშვილმა, დ. ოსეფაშვილმა, თ. დოლბაიამ და სხვ.

დაადგინეს: თსუ-ის რექტორის 2013 წლის 25 ნოემბრის №151/01-01 ბრძანების შესაბამისად ფაკულტეტის საბჭომ გამოაცხადოს კონკურსი ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სტუდენტთა სამეცნიერო ფორუმში მონაწილეთა განსასაზღვრად.

მოისმინეს: 5. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ

დეკანის მ. შ. ნ. მაჭარაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ-ის წესდების მე-20 მუხლის თ) პუნქტი, რომლის მიხედვითაც ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობიდან უნდა დაინიშნოს დეკანის მოვალეობის შემსრულებელი და დამსწრეთ მიმართა თხოვნით დაესახელებინათ კანდიდატურები და თავად წარადგინა თ. მახარაძის კანდიდატურა.

სხვა კანდიდატურები არ დასახელებულა.

აზრი გამოთქვეს: ი. სალუქვაძემ, მ. გერსამიამ, თ. გაგოშიძემ და სხვ.

დაადგინეს:

1. აირჩეს ხმის დამთვლელი კომისია:
   ა) თ. დოლბაია – ასოცირებული პროფესორი
   ბ) ფ. ასანიშვილი - ასოცირებული პროფესორი
   გ) გ. კაკაურიძე – სტუდენტი

2. ჩატარდეს ღია კენჭისყრა

3. ღია კენჭისყრის საფუძველზე (მომხრე-25, წინააღმდეგი-0) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი, ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ნ. მაჭარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: ო. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

21 ივლისი, 2014

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

1. ნანა მაჭარაშვილი

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ლალი სურმანიძე
4. თამარ მახარაძე
5. ნინო დურგლიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. ალექსანდრე რონდელი
9. სერგი კაპანაძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

10. ალექსანდრე კუხიანიძე
11. მალხაზ მაცაბერიძე
12. გია ჟორჟოლიანი

ფსიქოლოგიის მიმართულება

13. რევაზ ჯორბენაძე
14. გუგული მაღრაძე
15. თამარ გაგოშიძე
16. ია კუტალაძე
17. ხათუნა მარწყვიშვილი
18. მზია წერეთელი

ჟურნალისტიკის მიმართულება

19. მარიამ გერსამია
20. დალი ოსეფაშვილი
21. მარი წერეთელი
22. მანანა შამილიშვილი
23. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

24. რევაზ გაჩეჩილაძე
25. თამარ დოლბაია
26. გიორგი გოგსაძე
27. იოსებ სალუქვაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

28. ლევან ჩოხელი
29. შალვა საბაური
30. ბექა დადეშქელიანი
31. გიორგი ყიფშიძე
32. თეონა კვანჭიანი
33. გიორგი კაკაურიძე
34. ნესი კუპრეიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი

IVANE JAVAKHISHVI
TBILISI STATE UNIVERSI
FACULTY OF SOCIAL A
POLITICAL SCIENC

№ 307/30-00 "24" 01 201

ს.ს.ი.პ. ივანე ჯავახიშვილის სხელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის

საუნივერსიტეტო კომისიას,

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭომ 2014 წლის 21 იანვარს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა (მ.ჩიტაშვილი, მ.მაცაბერიძე, ა.კუხიანიძე) ინიციატივას (იხ. დანართი# 1) და მხარი დაუჭირა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის მოსაპოვებლად მიმდინარე კონკურსში შეერთებული შტატების მაუნტ ჰოლიოკის კოლეჯის პროფესორის სტივენ ჯონსის კანდიდატურის წარდგენას.

ფაკულტეტის საბჭოს დასკვნით, პროფესორი სტივენ ჯონსი საუკეთესო კანდიდატია უცხოელ მეცნიერთათვის გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ქართველოლოგიაში შეტანილი საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო შრომისათვის (Jones, St., (2009), Georgia's Rose Revolution of 2003: A Forceful Peace in Civil Resistance and Power Politics: The Experience of Non-violent Action from Gandhi to the Present, Robert A., Garton, T. (ed), Oxford University Press). ამონაწერი თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2014 წლის 21 იანვრის სხდომის #1 ოქმიდან თან ერთვის დოკუმენტს (იხ.დანართი #2).

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მხარდაჭერა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

1. **პროფესორი სტივენ ფ. ჯონსი არის ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერი და ექსპერტი პოსტ-კომუნისტური საზოგადოებისა და აღმოსავლეთ ევროპის საკითხებში, რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც საქართველოს ისტორიისა და თანამედროვეობის კვლევითაა დაკავებული.** მისი სადოქტორო ნაშრომი, რომელიც 1984 წელს ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში იქნა დაცული, და რომელისთვისაც ბატონ სტივენ ჯონსს მიენიჭა

ჭავჭავაძის გამ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Chavchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
+995 32 290594
+995 32 290594
social@tsu.ge

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ეძღვნებოდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას - (საქართველოს სოციალური დემოკრატია ოპოზიციასა და ძალაუფლებაში ყოფნის დროს, 1918-1921 წწ.). აღნიშნული დისერტაცია წარმოადგენს საქართველოში, კერძოდ კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობის შედეგს. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში 1983 წელს მისი პირველი ვიზიტი სწორედ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკავშირდება, როცა მან, როგორც ბრიტანეთის საბჭოს სტიპენდიანტმა, მოიპოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის შესაძლებლობა. 1986 წელს ბატონმა სტივენ ჯონსმა მოიპოვა კალიფორნიის უნივერსიტეტის (სანტა კრუზი) კვლევითი გრანტი და დაბრუნდა საქართველოში კვლევითი პროექტის გასაგრძელებლად. სტივენ ჯონსს საკუთარი მოღვაწეობის პერიოდში საქართველოს ისტორიისა და თანამედროვეობის შესწავლის მიზნით არაერთი სამეცნიერო გრანტი აქვს მოპოვებული, რასაც ადასტურებს მის ბიოგრაფიულ მონაცემებში მითითებული ინფორმაცია (იხ. დანართი # 4).

2. **სტივენ ჯონსი არის საქართველოს შესახებ 70-მდე სამეცნიერო პუბლიკაციისა და 4 მონოგრაფიის ავტორი.** მისი პირველი მონოგრაფია „სოციალიზმი ქართულ ფერებში: ევროპული გზა სოციალურ დემოკრატიამდე, 1883-1917", (Harvard University Press) 2005 წელს გამოიცა. 2010 წელს კი მან გამოსცა წიგნი „ომი და რევოლუცია კავკასიაში: საქართველო ცეცხლის ალში" (რედაქტორი.). 2012 წელს გამოვიდა კიდევ ორი წიგნი მისი ავტორობით: "დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია, 1991-2010 წწ" (I.B. Tauris) და „თანამედროვე საქართველოს დაბადება: პირველი ქართული რესპუბლიკა და მისი მემკვიდრეები, 1918-2010" (ed., Routledge). (მონოგრაფიები წარმოდგენილია თანმხლებ დოკუმენტაციაში).

3. **სტივენ ჯონსის სამეცნიერო ინტერესების სფეროში, ძირითადად, საქართველოს მეოცე საუკუნის ისტორია და თანამედროვე პერიოდია მოქცეული, რაც განსაკუთრებულად ღირებულს ხდის მის ნაშრომებს და დასავლეთში საქართველოს საკითხების შესწავლით დაინტერესებულ სამეცნიერო საზოგადოებაში ძირითად სამეცნიერო წყაროს წარმოადგენს.** საქართველოს შესახებ პროფესორ სტივენ ჯონსის მიერ მომზადებულმა სამეცნიერო ნაშრომების ციკლმა საზღვარგარეთ ქართული რეალობის ობიექტური აღქმისა და გაანალიზების შესაძლებლობა შექმნა. ამის დასტურია მის სამეცნიერო ნაშრომებსა და მონოგრაფიებზე გამოქვეყნებული დასკვნები, შეფასებები და გამოხმაურებები. მათი ნაწილი წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი#3)

4. **აღსანიშნავია ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ კანდიდატ სტივენ ჯონსის დამსახურება საქართველოს ისტორიული წყაროების პოპულარიზაციასა და შენარჩუნებაში.** ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ პროფესორმა სტივენ ჯონსმა დაამთავრა „ქართლის ცხოვრების" ინგლისური თარგმანის რედაქტირება, რომელიც უახლოეს მომავალში გამოიცემა და წარმოადგანს უმნიშვნელოვანეს შენატანს ქართველოლოგიის დარგის განვითარებისათვის დასავლეთში. 1988 წელს სტივენ ჯონსი გახლდათ ოქსფორდის უნივერსიტეტის მარჯორი უორდროპის სახელობის სტიპენდიანტი, რომელიც მხოლოდ საქართველოს საკითხებზე მომუშავე მკვლევრებს ენიჭებათ და მივლინებული გახლდათ საქართველოს შესახებ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული მასალების შესასწავლად. მნიშვნელოვანია ისიც, რომ 1990-იან წლებში პროფესორი სტივენ

ჯონსი აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ბიბლიოთეკებთან საქართველოს მეოცე საუკუნის ელექტრონული კატალოგების შესაქმნელად, რითაც მნიშვნელოვანი სამსახური გასწია ქართული ისტორიული წყაროების შენარჩუნების საქმეში. ის გახლდათ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის ციფრულ ფორმატზე გადაყვანის საერთაშორისო კვლევითი საბჭოს წევრი. 2013 წლიდან პროფესორი სტივენ ჯონსი საქართველოს პარლამენტის საჯარო ბიბლიოთეკისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებით ხელმძღვანელობს საფრანგეთში, ლევილში დაცული საარქივო მასალების კატალოგიზაციისა და რეზერვაციის პროექტს.

5. **პროფესორ სტივენ ჯონსის ინტერესი საქართველოს მიმართ არ შემოიფარგლება მხოლოდ საქართველოს საკითხების შესწავლით.** ის, როგორც შეერთებული შტატების მოქალაქე, აქტიურად ზრუნავს საქართველოში სხვადასხვა პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელებაზე; აღნიშნულის მტკიცებულებად გამოდგება ის ფაქტიც, რომ პროფესორი სტივენ ჯონსი ორგანიზებას უწევდა სხვადასხვა ქართულ პროგრამებს შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისთვის; ამჟამად, ის რეგულარულად თანამშრომლობს შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტთან კავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესიების თაობაზე; არის ქართული ასოციაციის მდივანი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ის წლების განმავლობაში ზრუნავდა და დღესაც აქტიურადაა ჩართული საქართველოში სოციალური მეცნიერების განვითარებაში (ის გახლავთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი; სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრი; 2006-2012 წლებში იყო ღია საზოგადოების ფონდების აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის საერთაშორისო მკვლევარი და დიდი წვლილი მიუძღვის თსუ-ს სამაგისტრო პროგრამის „ევრაზიისა და კავკასიის კვლევები" (ყოფილი ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში") შემუშავებასა და განვითარებაში; ამჟამად, პროფესორი სტივენ ჯონსი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერარის სხვადასხვა ქართული ორგანიზაციისა და საქართველოს საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების საბჭოს წევრი, სარედაქციო საბჭოს წევრი). პროფესორი ჯონსის ორგანიზებით ჩატარდა რამდენიმე კონფერენცია საქართველოს შესახებ, მათ შორის 2009 წელს თბილისში ჩატარებული - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ („თანამედროვე საქართველოს დაბადება: საქართველოს პირველი რესპუბლიკა და მისი მემკვიდრეები: 1918-2009"). უკანასკნელია 2013 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „ევროპა საქართველოში".

პროფესორ სტივენ ჯონსს 2011 წელს მიენიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება, რითაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოხატა საკუთარი მადლიერება საქართველოს მიმართ პროფესორ სტივენ ჯონსის ინტერესისა და ქართულ სამეცნიერო საზოგადოებისათვის გაწეული შრომისთვის. თუმცა, ვფიქრობთ, რომ ივანე ჯავახიშვილის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის მოსაპოვებლად სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ წამოყენებული კანდიდატის დამსახურება ქართველოლოგიის დარგის განვითარებაში ფასდაუდებელია და აღნიშნული პრემიის მინიჭებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს კიდევ ერთხელ მიეცემა შესაძლებლობა,

ხაზი გაუსვას ბატონ სტივენ ჯონსის 35 წლიან დაუღალავ შრომასა და თავდადებას საქართველოს სამეცნიერო შესწავლისა და საქართველოსათვის გაწეული დახმარებისთვის.

დანართი:

- დანართი #1 - თსუ პროფესორების - მ.ჩიტაშვილის, მ.მაცაბერიძის, ა.კუხიანიძის მიმართვის წერილი თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოსადმი.
- დანართი #2 - ამონაწერი თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2014 წლის 21 იანვრის სხდომის #1 ოქმიდან
- დანათი #3 - წიგნების მიმოხილვა
- დანართი # 4 - სტივენ ჯონსის ბიოგრაფიული მონაცემები (14 გვ);
- პროფესორ სტივენ ჯონსის თანხმობის ელექტრონული წერილის ამონაბეჭდი კონკურსში მონაწილეობის შესახებ(1 გვ)
- პროფესორ სტივენ ჯონსის შრომების სია ქართველოლოგიაში (6 გვ.)
- ერთი ნაშრომი, რომელიც პროფესორმა სტივენ ჯონსმა საუკეთესოდ მიიჩნია. (17 გვ.) - Jones, St., (2009), Georgia's Rose Revolution of 2003: A Forceful Peace in Civil Resistance and Power Politics: The Experience of Non-violent Action from Gandhi to the Present, Robert A., Garton, T. (ed), Oxford University Press
- 5 წიგნი, მათ შორის 2 ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- საინფორმაციო ბუკლეტები და სტივენ ჯონსის აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია - (12 გვ.)

პატივისცემით,

თამარ მახარაძე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე,

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის

შემსრულებელი

ამონაწერი:

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის #1 ოქმიდან

21.01.2014

მოისმინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ

/დაკანის მოალეობის შემსრულებელი ნ.მაჭარაშვილი/

ქალბატონმა ნანა მაჭარაშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მიხედვით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №135/ნ, 2013წლის 11 სექტემბერი) ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება დეკანის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ და საბჭოს მიმართა თხოვნით, დაესახელებინათ კანდიდატურები.

დეკანის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატად ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ნ.მაჭარაშვილმა დაასახელა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრი, ასოცირებული პროფესორი, ქალბატონი თამარ მახარაძე.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა იოსებ სალუქვაძემ, პროფესორმა მარიკა გერსამიამ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ.

გაიმართა ღია კენჭისყრა.
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25
წინააღმდეგი-0

დაადგინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს კენჭისყრის საფუძველზე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნოს თსუ ასოცირებული პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრი თამარ მახარაძე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი: **/ნ.მაჭარაშვილი/**

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი:
ასოცირებული პროფესორი: /თ.დოლბაია/